პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. ქ. პ.

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა [illegible]
ტელეფონები: [illegible] № 19 საერთო №

№ 59 | ოთხშაბათი, 15 მარტი 1922 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ოთხშაბათი, 15 მარტი 1922 წ. | № 59

## თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმისაგან

ამით ვაცხადებთ მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს წევრთა საყურადღებოდ, რომ თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში, მე 5 № ოთახში, მეცადინეობის საათებში, ამა მარტის 10-დან დაიწყება მოწმობების მიცემა თბილისის ქალაქის საბჭოს წევრებისათვის და ანკეტების შევსება.

საბჭოს ყველა წევრს ვსთხოვთ მობრძანდნენ მოწმობათა მისაღებად და ანკეტათა შესავსებად.

პრეზიდიუმი.

## თესვის კამპანია

ჩვენ კვლავ გვინდა მივაქციოთ ადგილობრივი სახელმწიფოებრივი და პარტიული ორგანოების ყურადღება გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის. თუ როდესმე ყოფილა საჭირო ჩვენ განკარგულებაში მყოფი შესაძლებლობის გამოყენება და მთელი ენერგიის ამუშავება—ეს უნდა მოხდეს სწორეთ დღეს და სწორეთ ამ დარგში. ასეთი მუშაობის აუცილებლობას გვაკარნახებს, როგორც წარსული სამეურნეო წლის დასასრული, ისე საზოგადოთ სასურსათო მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის, რომელიც ნორმალურ დროსაც ვერ აკმაყოფილებს საკუთარი მოსავლით თავის ჩვეულებრივ მოთხოვნილებას. მოუსავლიანი წელი ასეთ შემთხვევაში ცხადია კიდევ უფრო ამწვავებს ცხოვრების პირობებს და წარსული წლის შედეგათ ჩვენ განვიცდით სწორეთ ასეთ მდგომარეობას. ეს არ უნდა განმეორდეს მომავალში, რასაკვირველია, რამდენადაც დამოკიდებული იქნება ადამიანის ძალისაგან.

თქმა იმ ყველასათვის ცხადი რამის, რომ ჩვენში არ უნდა დარჩეს დაუთესავი ერთი კაცის დასაჯდომი მიწაც, რასაკვირველია საკმაო არ არის. ეს ყველას მიერ შეგნებული უნდა იყოს. საჭიროა საქმით მოევლოს თავი ამ დიდ მტკივნეულ საკითხს და გადაწყდეს ის. უმთავრესი დაბრკოლება, სათესი მასალის შოვნა და მიზანშეწონილათ განაწილება, უნდა გადალახულ იქნეს საერთო ძალით. როგორიც არ უნდა იყოს ამ შემთხვევაში დახმარება, რომელსაც გაუწევს სახელმწიფო ჩვენ მიწის მუშას—ხოლო ამ დახმარების საქმე ჩვენის ცნობით ჯერ-ჯერობით წარმატებით მიმდინარეობს—აშკარაა, რომ მარტო ის არ იქნება საკმაო. თვით ის რაოდენობაც თესლის, რომლის უცხოეთში შესასყიდათ გადადებულია სათანადო თანხა და ნაწილობრივ შეძენილიც, შეადგენს იმ მინიმუმს, რომელიც იკისრა სახელმწიფომ სოფლის მისაწოდებლათ. ამ რაოდენობიდან (305 ათასი ფუთი) მიღებულია და განაწილებული ჯერ 50 ათასი. ჩვენი ცნობით მიღებულია ბათომში 100 ათასი ფუთიც და ვიმყოფებით დანარჩენის მოლოდინში იმ რაოდენობიდან, რომელიც განძრახული იყო საზღვარგარეთის ბაზარზე შეგვეძინა (250 ათასი 305 ათასიდან). მუშაობა ამ მიმართულებით სწარმოებს და იწარმოებს მომავალშიც შეუწყვეტლივ. მაგრამ, როგორც უკვე მოვიხსენეთ ეს არის მხოლოდ მინიმალური ნაწილი იმისი, რაც საჭიროა მთელი ჩვენი ქვეყნისთვის და რისთვისაც ზრუნვა აწევა ადგილებს.

როგორც ყოველ საქმეში, ისე ამაშიაც ერთათ ერთი სერიოზული გარანტია წარმატების მდგომარეობს თვით მშრომელთა და საზოგადოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივაში. წარსული თესვის დროს აღებული სესხის დაბრუნება ისევ მომავალ თესვისთვის მოსახმარათ, ადგილობრივ ურთიერთ დახმარებისთვის მიმართვა, როგორც კერძო მეურნის ისე ადგილობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიური ორგანიზაციების, კოოპერატივების და სხვ. ინიციატივით და პასუხისმგებლობით—არის ის გზა, რომლითაც უნდა მიმდინარეობდეს ჩვენი მუშაობა თესვის კამპანიის ჩასატარებლათ. უმთავრესი ნაწილი ამ მუშაობის უნდა შეასრულონ ადგილებმა, ადგილობრივი საშუალებით და ისევ ადგილობრივი ძალების მეოხებით. სხვა გამოსავალი დღევანდელ მდგომარეობაში არ არის და ეს კარგათ უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩვენი სოფლის მიერ, რადგან ქვეყნის საერთო მძიმე ეკონომიურ მდგომარეობასთან ერთათ, რომელიც აძნელებს სახელმწიფოებრივ მუშაობას, ერთ დიდ საზრუნავ საგნათ გამხდარია დამშეული რაიონების დახმარება. ეს შიმშილი კიდევ უფრო საგრძნობი შეიქნება მომავალ თვეებში და ამასთან დაკავშირებით წარმოსადგენია ის დიდი მოთხოვნილება, რომელსაც მდგომარეობა წაუყენებს სახელმწიფოს და ხელისუფლებას. ეს არ უნდა გავუშვათ ყურადღებიდან, როდესაც კითხვა დგება იმ ფარგლების შესახებ, რომლებშიც სახელმწიფო შესძლებს აიღოს თავზე თესვის კამპანიის წარმოება. ასეთ პირობებში ადგილობრივი სახელმწიფოებრივი და პარტიული ორგანოები უნდა გაიმსჭვალონ იმ პასუხისმგებლობით, რომელიც მათ ხვდებათ დღეს წილათ. მათი მოვალეობაა ისარგებლონ ყოველგვარი შესაძლებლობით, რომლის საშუალებას მისცემს მათ ადგილობრივი კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივა. მხოლოთ იმდენათ, რამდენათაც ეს უკანასკნელი გამოიჩენს თავს, იქნება შესაძლებელი ამ უდიდესი მორიგი საკითხის გადაწყვეტა და მომავალი სამეურნეო წლის წარმატებით დათავება. ამიტომ ყველა სამუშაოთ, ყველა ამ ფრონტზე!

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია

## ამხ. ელიავას მოხსენება ფედერაციის შესახებ

ამხანაგებო, საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებიდანვე ჩვენ აუცილებლათ ვცანით მმართველობის ზოგიერთ ორგანოების გაერთიანება, ვინაიდან ამ მმართველობებთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო თითოეულ რესპუბლიკის ფარგლებში. პირველ დღეებშივე ჩვენ შევუდექით ამიერ-კავკასიის რკინის გზების და საგარეო ვაჭრობის ორგანოების გაერთიანებას. პრაქტიკული მუშაობა ამ გაერთიანებულ ორგანოებში მუდამ ააშკარავებდა მთელ რიგს საორგანიზაციო ნაკლისას და ცხოვრებაც დაჟინებით მოითხოვდა ამ ნაკლების მოშორებას. ამავე დროს ჩვენ ყოველ დღე ვრწმუნდებოდით, რომ არსებული გაერთიანებული ორგანოები (რკინის გზები და საგარეო ვაჭრობა) არ კმაროდნენ წესიერ სამეურნეო მუშაობისთვის ამიერ-კავკასიაში. გამოაშკარავდა აუცილებლობა სამივე რესპუბლიკის მთელი ეკონომიური მუშაობის გაერთიანებისა. მაგრამ მთელი სამეურნეო-ეკონომიურ მუშაობის გაერთიანება კატეგორიულად გვაიძულებდა ჩვენ, დღის წესრიგში დაგვეყენებინა საკითხი ერთიან მთავრობის ცენტრის შექმნის შესახებ მთელი ამიერ-კავკასიისათვის. მხოლოდ ასეთ ცენტრს შეუძლიან მიანიჭოს საჭირო ავტორიტეტი გაერთიანებულ ეკონომიურ ორგანოებს.

ამხ. მახარაძემ გითხრათ აქ, რომ მას აქეთ, რაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა დაამყარეს საბჭოთა რეჟიმი, მათ შორის ჩანოვარდა მორალური და პოლიტიკური კავშირი. სასაცილოც იქნებოდა, რომ იმ რესპუბლიკებს, რომლებშიაც ხელისუფლება უპყრია ერთს და იმავე კომუნისტურ პარტიას, არ ჰქონდეთ ასეთი კავშირი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი მორალური და პოლიტიკური კავშირი საკმარისი არ აღმოჩნდა იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც იდგა ამიერ-კავკასიის მშრომელ მასსების წინაშე. ადვილია ადამიანების მართვა მხოლოდ მორალურ და პოლიტიკურ კავშირის საფუძველზე, მაგრამ მეტისმეტად ძნელია მართვა ადამიანებისაც და ნივთებისაც. ამ საკითხის დაყენებასთან ერთად ჩვენ წინ დადგა საკითხები პოლიტიკურ და ეროვნულ ხასიათისა, საკითხები რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და თვითყოფნისა.

ცხადი იყო, რომ ჩვენ, რაც უნდა დაგვჯდომოდა, უთუოდ უნდა შეგვეერთებია ჩვენი მუშაობა სახელმწიფო ცხოვრების მთელ რიგ დარგებში, მაგრამ ამავე დროს უნდა განგვესაზღვრა გაერთიანების ფარგლები და რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ხასიათი. უნდა გამოსავალი გვეპოვა მდგომარეობიდან და შეგვექმნა გაერთიანების ისეთი ფორმა, რომელიც უზრუნველჰყოფს რესპუბლიკების დამოუკიდებლობას და გაერთიანებულ მოქმედებასაც მიეცემოდა სათანადო მიმართულება.

ამხანაგებო, ჩვენთვის, კომუნისტებისთვის, რომლებიც ამ რესპუბლიკების სათავეში ვდგევართ, სრულიად ცხადია, რომ ეხლანდელ ხანაში, როდესაც ჩვენ კაპიტალისტური ალყა გვაქვს შემორტყმული, როდესაც ჩვენ მოვყევით ჩვენი მტერი სახელმწიფოების რკალში, პირველ რიგში უნდა დავაყენოთ საკითხი ჩვენი ცხოვრების იმ მხარეებისა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებთან. ჩვენი საზღვრების დაცვის საქმეს, ჩვენი მტრებისადმი წინააღმდეგობის საქმეს ჩვენ ვაქცევდით და დღესაც ვაქცევთ უმთავრეს ყურადღებას. და ყველა ჩვენგანისთვის ცხადი იყო, რომ სამხედრო საქმეში ერთი წუთის დაყოვნებაც კი არ შეიძლებოდა.

ამასთანავე, ამხანაგებო, ჩვენთვის სრულიად ცხადი იყო, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა წინაშე შეუძლებელია ისე განცალკევებულნი ვიყვნეთ ერთმანეთისაგან, როგორც ვრჩებოდით ინერციით. ცხოვრებამ გადაჭრით მოითხოვა, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკები კაპიტალისტურ მსოფლიოს წინ გამოსულიყვნენ როგორც მთლიანი პოლიტიკური ერთეული.

ამხანაგებო, თუ ამიერ კავკასიის რესპუბლიკები აინტერესებენ ჩვენს მტერს—ბურჟუაზიულ მსოფლიოს, არა ცალ ცალკე, არა როგორც სომხეთი, საქართველო და აზერბეიჯანი, არა, ესენი აინტერესებენ მას მთლიანათ, როგორც ამიერ კავკასია. აქ საკმაოდ ბევრია ისეთი საგნები, რომლებიც საჭირონი არიან დასავლეთ ევროპის კაპიტალისთვის: ბაქოს ნავთი, საქართველოს შავი ქვა, სომხეთის სპილენძი და სხვა. ეს სიმდიდრე იზიდავს დასავლეთ ევროპის კაპიტალს.

ცხადია, რომ უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულების საკითხში საჭირო იყო გამოგვესწორებია ჩვენი პოლიტიკური ფრონტი, რათა დაგვენახვებია ჩვენი ინტერესების სრული ერთობა მთელ მსოფლიოსათვის, ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ამიერ კავკასიაში აქვთ საერთო ინტერესები, მაგრამ სარგებლობენ ჩვენი ცალ-ცალკე ყოფნით, რომ უფრო ადვილად აღადგინონ ძველი წესწყობილება ცალკე რესპუბლიკებში. აქედან აღმოცენდა მჭიდრო პოლიტიკურ კავშირის საჭიროების საკითხი. შემდეგ ჩვენ წინ წამოიჭრა საკითხი ჩვენი მეცადინეობის გაერთიანებისა სამეურნეო აღმშენებლობის სფეროში. საკმარისი არ შეიქნა მარტო რკინის გზების გაერთიანება და საგარეო ვაჭრობის კავშირის შექმნა. საჭირო შეიქნა ისეთი ორგანიზაციულ წესის დამყარება, როდესაც ეკონომიური რესურსები იქნებოდენ ამიერ კავკასიის მშრომელთა მასსების თავისუფალ განკარგულებაში, რათა თავისუფლათ მოეხმარათ იგი და მუშათა ძალები, შეექმნათ საქმეების და მეურნეობის მართვის ისეთი წესები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენი განადგურებული ქვეყანა აყვანილ იქნას სათანადო სიმაღლემდი. აქედგან წარმოიშვა ეკონომიურ პოლიტიკის გაერთიანების იდეა. ეკონომიურ პოლიტიკაში ძირითად საკითხს ამხანაგებო, წარმოადგენს ფინანსების საკითხი. თვითეული თქვენგანს შეუძლია ყოველდღიურ მაგალითით იგრძნოს მთელი სიმწვავე იმ მემკვიდრეობისა, რომელიც ჩვენ აქა გვაქვს. ჩვენთვის აუცილებელი იყო ამ რიგად ამ სამ დარგში—სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიური შეგვეკავშირებია ამიერ-კავკასიის გლეხთა მასსები, შეგვექმნა ისეთი ორგანოები, რომლებიც იქნებოდენ, როგორც უმაღლესი გამკარგულებელნი სახელმწიფოს ცხოვრების ამ დარგებში, რომ მუშაობას ეწარმოვნა შეუწყვეტლივ.

ამისთვის აუცილებლად უნდა მოგვეხდინა ეკონომიური გაერთიანება და მაზე დაგვეყენებია პოლიტიკური ძალაუფლების უზენაესი ორგანო, ურომლისოდაც არავითარ მუშაობას, არავითარ გაერთიანებულ ორგანოებს არ შეუძლიათ სარგებლობის მოტანა. გაერთიანების ცდამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ასეთი პოლიტიკური ორგანოს გარეშე, ამ ორგანოების ნორმალური მუშაობა შეუძლებელია. ამასთანავე ჩვენ ანგარიშს ვუწევდით ცხოვრების იმ ნაშთებს, რომელიც აქ არსებობს ნაციათა განვითარების სხვა და სხვა დონეზე, რომელნიც მოსახლეობენ ამიერ-კავკასიაში, უნდა მიგვენიჭებია სრული დამოუკიდებლობა რესპუბლიკებისთვის ხალხის ცხოვრების იმ დარგებში, რომელნიც კი გადაიჭრება განსაზღვრულ სახელმწიფოს საზღვრებში. საკავშირო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წარმოდგენილია ამ კონფერენციის საყურადღებოდ, რამდენიმე თქვენგანს მოეჩვენება არასრულ, სანახევრო პროექტად. ჩვეულებრივად ფედერაცია ბევრს ასე ესმის, რომ ყველა რესპუბლიკებს ყავს ერთი უმაღლესი ფედერალური საბჭო, და ეს რესპუბლიკები ფედერაციაში წარმოადგენენ ავტონომიურ რესპუბლიკებს. აქ ჩვენ ეს არა გვაქვს. ჩვენ ვდგევართ დამოუკიდებლობის და თვითგამორკვევის თვალსაზრისზე და ვირჩევთ თავისებურ ფორმას საკავშირო გაერთიანებისა. აი რატომ არ წარმოადგენს ეს პროექტი ტიპს ჩვეულებრივი ხელშეკრულებისა, რომელიც იკვრებოდა ასეთ შემთხვევაში.

ამ პროექტზე აღიბეჭდა ის საწინააღმდეგო გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს მუშაობაზე აქ. საკითხები კულტურისა და განათლების, მიწათმოქმედების პოლიტიკის, იუსტიციის, მმართველობის,—ყველა ეს საკითხები ისეთია, რომ თხოულობენ მაქსიმალურ თვითგამორკვევას და დამოუკიდებლობას არა მარტო დარჩენილ ნაშთების გამო, რომელიც ცხოვრებამ დატოვა აქ, არამედ საბჭოთა ხელისუფლების თვით იდეის და სტრუქტურის მოთხოვნილებით, რომელიც არის ერთად ერთი მთავრობა ადგილობრივ ძალების მომწოდებელი საკუთარი შემოქმედებისაკენ. ამიტომ ამ საკითხებში ჩვენ დავტოვეთ რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობა, და მე ვფიქრობ, რომ ამ მხრით არ უნდა მოხდეს ცვლილება პროექტში.

ამნაირად ვტოვებთ რა ხელ უხლებლად რესპუბლიკების დამოუკიდებლობას საკითხებში. რომლებიც ეხებიან ამ რესპუბლიკებში დასახლებულ ხალხების ყოფა ცხოვრებას, ჩვენ ამავე დროს უყოყმანოდ ვქმნით გაერთიანებულ ორგანოებს, როგორიც არიან სამხედრო, საფინანსო, საგარეო ვაჭრობის, საგარეო პოლიტიკის, ფოსტა-ტელეგრაფის, გზათა მიმოსვლის და კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლის, ეს საკითხები საერთოა ყველა რესპუბლიკებისათვის და შეუძლებელია მათი გადაჭრა დამოუკიდებლად, უშუალო კონტაქტისა და ორგანიული კავშირის გარეშე. ამ პრინციპზეა დამყარებული პროექტი ხელშეკრულებისა, რომელსაც გიდგენთ თქვენ. ყველა დანარჩენი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან ამიერ-კავკასიის ნაციების განსაკუთრებული თვისებებთან, რჩებიან ცალკე რესპუბლიკების სრულ კომპენტენციაში.

მთელი ამიერ კავკასიის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ იქნება აზერბეიჯნის, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების წარმომადგენლების სრულ უფლებიანი კონფერენცია. უმაღლეს ხელისუფლების ორგანოს მეორე ფორმა—ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობა იქნებოდა გარდამავალ პერიოდისათვის მიუღებელი. ეს კონფერენცია ქმნის თავის აღმასრულებელ ორგანოს— საკავშირო საბჭოს იმ კომისარიატის შემადგენლობით, რომლებიც მე ჩამოვთვალე და მთელი ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიურ საბჭოს, რომელიც მუშაობს როგორც მუდმივი კომისია საკავშირო საბჭოსთან.

ეს ორგანოები ერთმანეთში შემდეგ დამოკიდებულებაში იმყოფებიან: ეკონომიური საბჭო—ეს არის კომისია საკავშირო საბჭოსი, საკავშირო საბჭო—კონფერენციის ორგანოა და კონფერენცია—ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. ასეთია ამ ორგანოების დამოკიდებულება და ეს წესი, ჩვენ გვგონია უზრუნველყოფს მთავარ დარგებში ძალღონის სრულ გაერთიანებას და ამასთანავე ცალკე რესპუბლიკების მაქსიმალურ დამოუკიდებლობას.

საკავშირო საბჭოსთან არსდება მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომელიც ამოწმებს გაერთიანებულ ორგანოების მუშაობას და აძლევს გან-

## მოუფრთხილდეთ ქაღალდს

«Надо этому положить конец. Советские учреждения печатают необ'ятное количество отчетов, при том необ'ятных размеров каждый... Мы издаем ужасающее мало для народных масс, особенно для деревни.........Поистине необходимо сократить нашу ведомственно-статистическую литературу и перевести ее если не на основу «коммерческой выгодности», то по крайней мере на основу здравого смысла».

Л. Троцкий.

ასეთი შინაარსის წერილი იყო მოთავსებული მოსკოვის „იზვესტიის“ 31|1 №-რ 23-ში ამხ. ტროცკის მიერ. წერილი მოკლე, მაგრამ ფრიად საყურადღებოა, განსაკუთრებით ჩვენი ცენტრალური დაწესებულებებისათვის. უნდა ითქვას, რომ, საწერი ქაღალდის ასეთ სიძვირის დროს იბეჭდება ისეთი აუარებელი რამეები, რომელთაც იოტის ოდენი სარგებლობა არ მოაქვს, გარდა არქივების გადიდებისა.

ავიღებ მაგალითად, შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაბეჭდილ თავის 1921 წ მოქმედების ანგარიშს, რომელიც გამოცემული იყო სპეციალურად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატებისათვის. წიგნაკი შეიცავს 120 გვერდს. ის სავსეა სხვა და სხვა ცხრილებით (ტაბლიცებით), რომელიც მიიქცევენ მკითხველების განსაკუთრებულ ყურადღებას. მათ შორის თქვენ შეხვდებით ცხრილებს სადაც მოყვანილია სტატისტიკა, გასულ და შემოსულ ქაღალდებისა (ცალკე გასულებისათვის, და ცალკე შემოსულებისათვის; შემდეგ შრომის კომისარიატის თანამშრომელთა წლოვანების, ეროვნების, სტაჟის და განათლების შედარებითი ტაბლიცები. ასეთსავე შეხვდებით საექიმო საკონტროლო კომისიის მოქმედების ცხრილებში, სადაც ავადმყოფობათა კლასიფიკაცია ეროვნების მიხედვით არის დაყოფილი. ყველა ზემო ნაჩვენებ ცხრილებს თავის დაწვრილებითი განმარტება—ანალიზი აქვს.

საერთოდ შინაარსი წიგნაკისა შეიცავს უმეტეს ნაწილად ზედმეტ და საქმესთან არავითარ დამოკიდებულ მსჯელობას, როგორც, მაგალითად: „ეს ნაწილი თითქმის ისეთსავე ცხოველ როლს ასრულებდა, როგორც საერთო კანცელარია(!?) და შემოქმედების ნაპერწკალიც აქ ღვივოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იქ თანამშრომლობდა აქტიური და დაუცხრომელი ამხ...“

აი ასეთი შინაარსით არის შემდგარი მთელი წიგნი. ნუ თუ ეს არის მაჩვენებელი კომისარიატის ნამდვილი მუშაობისა, რომლის ნათლად გამოხატვა შეიძლებოდა 15—20 გვერდზედ და არა 120-ზე, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რუსეთის შრომის კომისარიატის წლიური მოქმედების ანგარიში დაეტია ასეთსავე ფორმატის წიგნის 56 გვერდზე.

ასეთი უშინაარსო და არავისათვის გამოსადეგი წიგნები იბეჭდება 2000 ეკზემპლიარი, მაშინ, როცა სასწავლებლებში ძლიერ ცოტაა სახელმძღვანელოები; სოფელი და წითელი ჯარი, რომლისთვისაც საჭიროა ბროშიურები ქართულ ენაზე, მოკლებულია მას ქაღალდის სიძვირის გამო.

დროა ამ წვრილმანებს მივაქციოთ ყურადღება. ჩვენ არც ისეთი მდიდარი ვართ, რომ ასეთი ფუფუნება დაუშვად.

ნ. ლ.

## ნარევი

**„რუდე პრავას“ მხილებანი.**

„რუდე პრავა“ აქვეყნებს „ჩეხოსლოვაკიის დიპლომატთა ქურდების სამსახური“-ს სათაურით შემდეგს: „პრაგაში დაეცენ მსხვილი მასშტაბის ქურდების კვალს, რომლებიც რაღაც საიდუმლო კავშირში ყოფილან ჩეხო-სლოვაკიის დიპლომატიურ მისიასთან მოსკოვში. ამ მისიის კურიერებმა, გრუშკამ და პეცკამ, რომლებიც დადიოდენ მოსკოვსა და პრაგას შორის დაბეჭდილ დიპლომატიურ პაკეტებით, რომლების არც გახსნა ურთიერთ შეთანხმების გამო, და არც კანტროლის გაკეთება არსად არ შეიძლება, გაიტანეს ამ პაკეტებით ჩეხიაში მილიონობით ღირებული ნოხები და სურათები, რომლებიც გადაქონდათ ჩეხიიდან საფრანგეთში და იქ ყიდდენ. მოკლებულია შესაძლებლობას, რომ დამნაშავენი ყოფილიყვენ გრუშკა და პეცკა, ვინაიდან ისინი ღებულობენ პაკეტებს დაბეჭდილი სახით, ხოლო გახსნის უფლება კი აქვს მხოლოთ თვით მისიის სათავეში მდგომს დოქტორ გირსს ან და მის ერთ რომელიმე მდივანს (ბრაბეცს ან ზნოემსკის). ქურდების შაიკის მეთაური, ვინმე იან ორსაკი, აძლევდა ერთი ამანათის გატანისათვის 30.000 კრონს, ჯერ არაა გამორკვეული ვის. რა იცის ამის შესახებ ბატონმა გირსმა? თუ მან არაფერი იცის იმ დანაშაულობის შესახებ, რომელიც ხდება მის ცხვირ წინ, ეს თითქმის ისეთივე ცუდია, როგორც ის, რომ მან იცოდეს ამის შესახებ. ხოლო რას იტყვიან ამის შესახებ ბ. ბენეში და წითელ ჯვრის თავმჯდომარე ალრა მასარიკი?“

მთელი ეს სასკანდალო ისტორია დაფარული იყო აქამდე დიპლომატიური მოსაზრებებით. ჩვენ სრულიად სისწორით გავიგეთ შემდეგი. წარსულ შემოდგომიდან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ცხოვრობს რუსეთის ყოფილი ქვეშევრდომი იანი ორსაგი, ჩამომავლობით სლოვაკი, ყოფილი ცნობილი სპეკულიანტი ვარშავაში და მილიონერათ გამხდარი. 1920 წ. ის მუშაობდა მოსკოვში პოლონელ კონტრ-რევოლიუციონერებთან ერთად და პასუხისგებაში იქნა მიცემული არტილერიის არსენალის მაისში აფეთქებაში მონაწილეობის მიღებისათვის. ორსაგმა მოახერხა გაქცეულიყო ციხიდან, მიეღო ლატვიის პასპორტი და ჩასულიყო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში, სადაც ჩვენმა ხელისუფლებებმა, თუმცა იცნობდენ მას, თავი შეაფარებიეს. ამ დროიდან ორსაგი აწარმოებს მოპარულ ნივთების გაზიდვას რუსეთიდან დასავლეთ ევროპაში, უმთავრესათ ძველებურ სურათებისა, გობელენებისა და სპარსული ნოხებისას. იმ მომენტიდან, რაც ის კავშირში შევიდა კურიერის სამსახურთან, მან შეიძინა ძველებური სურათების გაყიდვიდან არა ნაკლებ 12 მილიონი კრონისა. ამ სურათების გაჩენის შესახებ შემთხვევით წამოიყრანტალა ორსაგის მამამ, რომელიც ეხმარებოდა შვილს ამ საქმეების მოჭახრაკებაში. რამოდენიმე ამ სურათებიდან და ძვირფასი ნოხი იპოვეს მოსკოვის დიპლომატიური მდივნის ზნოემსკის ბინაზე პრაგაში. ზნოემსკის ოჯახობამ განაცხადა, რომ ეს ნივთები ეკუთვნის ბრაბეცს, გირსის პირად მდივანს. სურათები შეფასებულია რამოდენიმე მილიონ კრონათ, და ალბათ მოპარულია რუსეთის სურათების რომელიმე გალერეიდან. გაჩხრეკილ იქნა ბრაბეცის ბინა პრაგაში, მაგრამ ვერაფერი საეჭვო რამ იპოვეს. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, თუ რას ზიდავენ ჩვენი კურიერები დიპლომატიური ფოსტით, სარგებლობენ რა საერთაშორისო დაცვით. მოსკოვში მათ მიაქვთ კონტრ-რევოლიუციონური ლიტერატურა, ხოლო მოსკოვიდან კი მიაქვთ მათ მოპარული საქონელი“.

(მოსკოვის „პრავდა“ № 37).

საზღვრულ გეზს რესპუბლიკების გაერთიანებულ მუშა გლეხთა ინსპექციებს.

გაერთიანების ასეთი ფორმა არსებულ მომენტში უზრუნველყოფს დაარსებას ძლიერი რევოლიუციონური ცენტრისას, რომელიც ასე აუცილებელია ამიერ-კავკასიისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენ წინააღმდეგ ერთდებიან ამიერ-კავკასიის და ევროპის ყველა კონტრ-რევოლიუციონური ძალები. მხოლოდ ძლიერი რევოლიუციონური ცენტრის შექმნას შეუძლია ძირში მოკვეთოს ყოველგვარი ცდა ჩვენი მტრებისა რესტავრაციისათვის ამიერ-კავკასიაში. გაივლის დრო, საკავშირო საბჭოს და კონფერენციის მუშაობა გამოააშკარავებს თუ რამდენად ცხოველმყოფელია ფორმა ასეთი გაერთიანებისა და შეიძლება შემდეგი საფეხური იქნეს მთელი ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობის მოწვევა, რომელიც აირჩევს ამიერ კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ამხანაგებო, არაა საჭირო კიდევ შევაჩერო თქვენი ყურადღება ამ საკითხზე. ის საკმაოდაა განხილული როგორც რესპუბლიკების ხელმძღვანელ ორგანოებში, ისე მშრომელთა ფართო მასებში.

მე წინადადებას ვიძლევი პროექტი გადაეცეს კომისიას.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

**მილიციის მუშაკთა ყრილობა.**

**მოსკოვი. 10 მარტი. (რადიო).** მილიციის მუშაკთა ყრილობაზე წაკითხულ იქნა შემდეგი მოწოდება ყრილობისადმი რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტროცკისა: „თქვენი ყრილობა შეიკრიბა ძლიერ საპასუხისმგებლო მომენტში. მილიციის წინაშე, და მაშასადამე თქვენი ყრილობის წინაშე დგას ეხლა ფრიად მნიშვნელოვანი [illegible]

[illegible] ცანებთან. მაგრამ მეორეს მხრით კერძო მწარმოებელი და უცხო კაპიტალისტი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩასდებენ თავის კაპიტალს წარმოებაში საბჭოთა ნიადაგზე, თუ ისინი დარწმუნდებიან, რომ უზრუნველყოფილი იქნებიან აუცილებელი გარანტიებით და უფლებებით. მაგრამ ამ გარანტიების არას შემთხვევაში არ შეიძლება პრივილეგიებად გადაქცევა, რომელზედაც ასე ჩვეულია ბურჟუაზიული სახელმწიფოების კაპიტალი. აქედან გამომდინარეობს მილიციის რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა: ის მახვილად ადევნებს თვალყურს, რომ მუშურ გლეხური სახელმწიფოს ინტერესები, რომელიც დამტკიცებულია დეკრეტებით, დებულებებით და ინსტრუქციებით, არ იქნას დარღვეული. ამავე დროს მან ნათლად უნდა წარმოიდგინოს ცხლანდელი გარდამავალი ხანის განსაკუთრებული პირობები, როცა სოციალისტური სახელმწიფო შეგნებულად მტკიცედ მიდის დათმობის გზაზე კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ბურჟუა, რომელიც ინიციატივას აიღებს და ჩვენში თავის კაპიტალს შემოიტანს, უნდა სარგებლობდეს მილიციის მხრით ძლიერი თავდაცვით. ეს რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობანი, მთელ მსოფლიოში პირველ სახელმწიფოსთვის, რომელიც დგას შრომის საგუშაგოზე, მოითხოვს მილიციის პოლიტიკური და სპეციალურად ტიხნი- [illegible] ტ ნგრევას. მათ უმთავრეს ამოცანას შეადგენს ჩასცენ მახვილი ჩვენს ტრანსპორტს და წარმოებას. რკინის გზის ხიდების დანგრევას მოჰყვება შიმშილობის გაღრმავება“.

**კერძო მწარმოებლების გასამართლება.**

**მოსკოვი, 5 მარტი, (რადიო).** ვიტებსკში მოხდა გასამართლება კერძო მწარმოებლების. გამოძიებამ დაამტკიცა მთელი რიგი შრომის დაცვის დეკრეტის აშკარა დარღვევისა. ძლიერ ხშირად ირღვეოდა 8 საათის სამუშაო დღე. მოზარდებს საშინლად ყვლეფდენ. ზოგიერთი მწარმოებლები დაატყვევეს და მოათავსეს გამასწორებელ სახლში სხვადასხვა ვადით, რომელთაც წაერთვა საარჩევნო ხმის უფლება, ზოგიერთები დააჯარიმეს. გადახდილ ჯარიმის ნახევარი შემოტანილია დამშეულთა დახმარების ფონდში, მეორე ნახევარი კი სახლების მოსაწყობად.

# თებერვლის რევოლიუციის 5 წლის თავის გამო

**მოსკოვი. 13 მარტი, რადიო.** დღეს შესრულდა 5 წელი რუსეთის მონარქიის დამხობის დღიდან. მოსკოვის პრესა უძღვნის რევოლიუციის წლის თავს თავის მორიგ ნომრებს.

**„პრავდა“**

„პრავდა“ მოწინავეში სწერს: თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებშივე უფრო გარკვევით გამოჩნდენ ის კლასები, რომლებსაც უნდა ეთამაშათ მთავარი როლი შემდეგ ბრძოლაში და რომლებიც განაგრძობდენ არსებობას ზოგიერთი ცვლილებებით დღესაც. თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ბურჟუაზია გადაიქცა კონტრ რევოლიუციონურ ძალათ, რომლებსაც ეშინოდათ რევოლიუციის კიდევ უფრო გაღრმავების, ეშინოდათ ხალხის მასების ორგანიზაციების, ეშინოდათ მსოფლიო მასშტაბით ხალხური მოძრაობის განვითარებისა, რომელიც მიმართული იქნებოდა ომის ლიკვიდაციისაკენ. წვრილ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ პარტიებს აგრეთვე ეშინოდათ რევოლიუციის გაღრმავების, ეშინოდათ ხალხურ მასების დიქტატურის და მალე მათი ფუთანხმოება საკითხში—მონარქია თუ რესპუბლიკა—აღმოჩდა მეორე ხარისხოვანი. როდესაც დღის წესრიგში დადგა საკითხი: ბურჟუაზიული თუ სოციალისტური რესპუბლიკა? ბურჟუაზია, რომელიც დაირაზმა ომის წინა პერიოდში ლეგალურ ნიადაგზე საერბო და საქალაქო თვითმართველობებში, სამხედრო სამრეწველო კომიტეტებში, მრავალ სხვა სამეცნიერო თუ პოლიტიკურ საზოგადოებებში, რომელმაც ხელში ჩაიგდო პერიოდულ პრესის ბევრი ორგანოები, და პოლიტიკური ძალა უფლების აპარატი და გამოყენებულ იქნა ბატონ კერენსკების, წერეთლების და ჩერნოვების მიერ როგორც ნავთი რევოლიუციის ცეცხლის ტალღებზე.—მუშები და გლეხები [illegible] ღრმა ჟუნდობლობას ბურჟუაზიულ რეჟიმის წარმომადგენლების მიმართ, მაგრამ საკუთარ მასებში ვერ დასახეს ის მიზნები, რომლებსაც უნდა გამოეხატათ დაწყებულ რევოლიუციის საბოლოვო მიზანი. ყველაზე უფრო ჩქარა გამოერკვა პროლეტარიატი, რომელიც თებერვლის რევოლიუციის რამოდენიმე თვის შემდეგ უკვე შემოიკრიბა ბოლშევიკების ლოზუნგის ქვეშ „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. ეს ლოზუნგი ნიშნავდა ამავე დროს დაუყონებლივ ზავს, მემამულეების მიწების გლეხებზე დაუყონებლივ გადაცემას და წარმოების სოციალიზაციისაკენ თანდათან გადასვლას. მუშათა კლასის შემდეგ სწრაფად დაიწყეს რევოლიუციის მიზნის გაგება გლეხობის მოწინავე ელემენტებმა —ჯარისკაცის შინელში ჩაცმულებმა და ფრონტზე გაწვეულებმა და შემდეგ დაიძრა შინისაკენ ზურგში მყოფი გლეხობაც. წვრილ-ბურჟუაზიულმა პარტიებმა, რომლებიც მთელი თავის ძალღონით იბრძოდენ მუშებისა და გლეხების მშვიდობიან განწყობილების წინააღმდეგ და რომლებსაც ეშინოდათ მემამულეთა მიწების მოტაცებისაკენ მიმართული გლეხების მოძრაობის, ძალიან მალე გამოაშკარავეს მასსების წინაშე თავისი მშიშარა ბურჟუაზიულ დემოკრატების სახე და რევოლიუციის შემდეგმა მსვლელობამ გადაისროლა ისინი ერთ ბანაკში კონტრრევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან. თებერვლის დღეებს შემდეგ განვლო 5 წელმა. ოქტომბრის რევოლიუციამ ჩაყარა მტკიცე საფუძვლები საბჭოთა მთავრობისა. ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს თებერვლის რევოლიუციას არა მარტო როგორც მეფის, მონარქის დასაფლავების დღეს, არამედ როგორც შესავალს ოქტომბრის რევოლიუციისას, როგორც მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ბრძოლის დასაწყისს“.

**„იზვესტია“.**

„იზვესტია“ სწერს: „ადრე თუ გვიან საერთაშორისო და რუსეთის ბურჟუაზია უნდა გაერთიანებულიყო შესატევად თებერვლის რევოლიუციის დემოკრატიულ მონაპოვართა წინააღმდეგაც. მაგრამ თებერვალი ვერ გაუძლებდა ამ შეტევას, რადგანაც თითონ მასში იფარებოდა ღალატი. დროებით მთავრობის სიღრმეში, რომელიც შემდგარი იყო ბურჟუაზიულ და ზომიერ სოციალისტურ პარტიების კოალიციისაგან, ისხდენ რევოლიუციის მტრები. ამ შინაგანი ბრძოლის გამოხატულება იყო კორნილოვის აჯანყება. მხოლოდ ოქტომბერს შეეძლო რუსეთის და საერთაშორისო ბურჟუაზიის მოგერება. მხოლოდ ოქტომბერმა მოახდინა ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია პოლიტიკურად და ეკონომიურად და ჩააბარა მთელი ძალაუფლება რევოლიუციონურ პროლეტარიატს, რომელმაც შექმნა მტკიცე რწმენით აღჭურვილი მუშათა ერთიანი მთავრობა; მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია უდიდეს საერთაშორისო შეთქმულებისა, უთვალავ აჯანყებების და თავდასხმებისათვის. და მართლაც ოქტომბრის რევოლიუციამ გაიმარჯვა. მან დაიცვა თავის მონაპოვარი და ამავე დროს შეინარჩუნა თებერვლის რევოლიუციით მოპოებული. ჯერჯერობით მისი მნიშვნელობა მაინც განუზომელია. სოციალისტურ ოაზისის დაცვა ბურჟუაზიულ ძალადობის აბობოქრებულ ტალღებში და შემთანხმებელთა ღალატში—იქნება უდიდესი ისტორიული მონაპოვარი. გენუა მისი სიმბოლოა. გენუა კი მხოლოდ ეტაპია ისტორიულ გზაზე, რომელიც გახსნა ოქტომბერმა და რომლის ბოლოშიც მოხდება კაცობრიობის სრული განთავისუფლება ომის და მონობისაგან.

# ამხ. ტროცკის წიგნი, მიძღვნილი საქართველოსადმი

**მოსკოვი, 5 მარ.** სახელმწიფო გამომცემლობა სცემს ამხ. ტროცკის წიგნს სახელით: „იმპერიალიზმსა და რევოლიუციას შუა“. რევოლიუციის ძა- [illegible] სობით დაიღუპნენ, და რომლებიც დახვრიტეს, ჩამოახრჩეს და აწამეს ამიერ-კავკასიის კოალიციონურმა „დემოკრატიულმა“ მთავრობამ, „დე- [illegible] დროს 10 თებერვალს 1918 წ. დახვრეტილ მუშების ხსოვნას; იმ კავკასიელ კომუნისტების ხსოვნას, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ათობით, ასობით და ათა- [illegible] ლი ჯანყივით გამოდის მჩაგვრელთა ექსპლოატატორთა, იმპერიალისტებისა, მტაცებელთა, მკვლეფელთა ტ მათ პოლიტიკურ დაქირავებულ ლაქიების ბანაკიდან“.

# გენუას კონფერენციის შესახებ

**ამერიკა და გენუის კონფერენცია**

**მოსკოვი, 12 მარტი. (რადიო).** ამერიკის პრესა გადმოგვცემს ამერიკის მთავრობის მიერ მოკავშირეთადმი ნოტის გაგზავნის შესახებ, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ მას არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა გენუის კონფერენციაში, მისი პოლიტიკური ხასიათის გამო. ესალმება რა კონფერენციას, რომელიც ცდილობს აღადგინოს ევროპა, ამერიკის მთავრობა ხაზს უსვამს, რომ რუსეთის მიმართ იგი მოელის ევროპის სახელმწიფოებისაგან ისეთ ზომებს, რომლებიც მიმართული იქნებიან მის ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენად.

**მოსკოვი, 12 მარტი. (რადიო).** ლონდონიდან 9 მარტის რიცხვით იტყობინებიან: შეერთებულ შტატების მთავრობამ უარყო გენუის კონფერენციაზე მიწვევა, და აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატების მიერ რომელსამე საერთო ევროპის კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლებელია, იმის გამო, რომ ევროპის სახელმწიფოებმა სრულიად ვერ მოახერხეს მიეღოთ სათანადო ზომები ომის გამანადგურებელ შედეგების ასაცილებლად და ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრების უზრუნველ საყოფად. ამას გარდა ამერიკა არაა თანახმა რუსეთის მიერ გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების საკითხზე.

**გერმანია და ამერიკის უარი**

**მოსკოვი 12 მარტი, (რადიო),** ამერიკის უარს გენუის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ იხილავენ გერმანიის წრეები და პრესა, როგორც დიდ უბედურებას გერმანიისათვის. ბერლინის გაზეთები იუწყებიან, უარი გამოწვეულია იმით, რომ ევროპა განაგრძობს დარჩეს შეიარაღებულ ბანაკად.

**ამერიკის უარის თქმის მიზეზები**

**მოსკოვი, 12 მარტი. (რადიო).** „პტი პარიზიენმა“ მოათავსა ამერიკელ ჟურნალისტის წერილი ამერიკაში პოლიტიკურ განწყობილების შესახებ. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ამერიკის წრეში მტრულად ეკიდებიან ამერიკის მიერ გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების საკითხს, რადგანაც ქვეყანა განიცდის უმაგალითო ეკონომიურ კრიზისს. იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ამერიკა დათანხმდეს განიხილოს მოკავშირეთა ვალების გაბათილების საკითხი.

**გენუის კონფერენციის პროგრამა**

**მოსკოვი, 12 მარტი, რადიო.** ვაშინგტონის წრეებში ფიქრობენ, რომ ამერიკის ნოტის მოთხოვნილებათა გამო გენუის კონფერენციის პროგრამა გადასინჯული იქნება.

**ოსმალეთი და გენუის კონფერენცია**

**მოსკოვი, 12 მარტი, რადიო.** ლონდონიდან იუწყებიან: ჩემბერლენმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ საერთაშორისო კონფერენცია დარჩება იმ აზრის, რომ ოსმალეთის მთავრობა არ უნდა იყვეს მოწვეული გენუის კონფერენციაზე.

**რუსეთის საკითხი.**

**რომი. 11 მარტი. (რადიო).** „ფოსიშე ცეიტუნგ“-ი იუწყება: გენუას კონფერენცია თავის მუშაობაში არ შეეხება კონტრიბუციის საკითხს. კონფერენციის მსჯელობის მთავარი საგანი იქნება რუსეთის საკითხი.

**მცირე ანტანტა.**

**რომი. 11 მარტი. (რადიო).** 12 მარტს ვარშავაში გაიხსნება პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოების წარმომადგენელთა თათბირი, რომ გამოიმუშაონ გენუას კონფერენციაზე მუშაობის საერთო ხაზი.

**ამერიკა და გენუა.**

**ნაუენი. 11 მარტი. (რადიო)** გერმანიის საზოგადოებრივ აზრს არ უკვირს ამერიკის უარი გენუას კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებისა. მოქმედების ასეთი ხაზი სრულიად ესაბამება ყველა პოლიტიკურ პრინციპებს, რომელთაც ამერიკა მისდევდა ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში. „კრეიც ცეიტუნგ“-ის აზრით ამერიკამ გადასწყვიტა აიძულება ევროპა, რომ ის უფრო ქვეიანურ და მომჭირნე პოლიტიკას აწარმოებდეს.

**ბერლინი. 11 მარტი. (რადიო).** ლონდონიდან მოსული ცნობების თანახმად, გენუას კონფერენცია არავითარ ცვლილებას არ განიცდის იმ ფაქტით, რომ ამერიკამ უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე, ამასთანავე ლონდონის პრესა სრულიად არ არის გაკვირვებული ამერიკის ამგვარი პოლიტიკით.

**ბორდო. 11 მარტი. (რადიო).** „ჟურნალ დედება“ გენუას კონფერენციაზე ამერიკის მონაწილეობის მიუღებლობაში ხედავს წმინდა პოლიტიკურ მოტივებს. ეს უარის თქმა, გაზეთის აზრით, არის ფაქტი, რომელიც მოწმობს ლონდონში გამომუშავებულ კომბინაციების გაკოტრებას, კომბინაციები, რომელნიც იყვნენ ევროპის აღდგენისაკენ.

**ლონდონი. 11 მარტი. (რადიო).** „ჩიკაგო ტრიბუნ“-ი აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკას სრულიადაც არა აქვს დასახული ეგოისტური პოლიტიკის, იზოლიაციის მიზნები. ამა თუ იმ ფორმაში, ჰარდინგი უეჭველად დაესწრება კონფერენციას თავისი წარმომადგენლის სახით. ამასთანავე გაზეთი გადმოგვცემს შემდეგს: ვაშინგტონის მთავრობამ აცნობა ამერიკის საზოგადოებას, რომ შეიძლება გენუას კონფერენცია დროებით კიდევ გადაიდვას, იმისთვის რომ შეუფარდონ გენუას პროგრამა ჩრდილოეთ ამერიკის შეხედულებას და განზრახვებს. ვაშინგტონის მთავრობას ეს არ განუცხადებია ანტანტისთვის, მაგრამ კონფერენციაში მონაწილეობაზე თვით უარისთქმას შეუძლია ანტანტას მთავრობები დააყენონ იმ აზრზე, რომ მათ მოახდინონ აუცილებელი ცვლილება და დათმობანი, რომ დაითანხმონ ამერიკა გენუას კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაში.

**გენუამდი, მის დროს და მას შემდეგ.**

**მოსკოვი. 3 მარტი,** „პრავდა“ ეხება გენუამდი, მის დროს და მას შემდეგ მოსალოდნელ პოლიტიკურ სიტუაციას. კონფერენციის გადადება 10 აპრილამდი, წერს გაზეთი, წარმოადგენს, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო ეპიზოდს. ისეთი საკითხებისთვის, რომელიც უნდა გადიჭრეს გენუაში, და უმთავრესად მას შემდეგ, და ამასთან არც ერთ ასეთ კონფერენციაზე, ამ საკითხებისთვის ორი კვირის ვადა არ წარმოადგენს დიდ დროს. საგულისხმოა ის, რომ ბერლინში მიღებულ გადაწყვეტილებანი ფაქტიურად აუარყოფენ კანის დადგენილებას და სვამენ დიდი კითხვითი ნიშანის ქვეშ ანტანტის ბლოკსა და საბჭოთა რუსეთს შორის რაიმე მტკიცე შეთანხმების შესაძლებლობას. როგორც ვიცით, ბერლინში გადაწყვეტილია საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხი მიაქციონ გენუას კონფერენციის ბოლოში.

ანტანტას სურს გენუას კონფერენციის ჩატარება საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა თანადასწრებით, სადაც მათ არ სცნობენ მოლაპარაკებაში თანასწორ უფლებიან მონაწილეს. როგორც ინგლის-საფრანგეთის დიპლომატია შესაძლებლად სცნობს ილაპარაკოს ჩვენთან ეკონომიურ საკითხებზე შესათანხმებლად ჩვენს აღიარების გარეშე. მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილება ჩვენთვის სრულიად მიუღებელია და სვამს კითხვითი ნიშანის ქვეშ რაიმე მტკიცე საჭირო ხელშეკრულების შესაძლებლობას. ანტანტას წარმოადგენილი აქვს, რომ ჩვენ დავთანხმდებით ისეთ კომბინაციებზე, რომლის მიხედვით მის მიერ აუღიარებელი მთავრობა შემოუშობს თავისას უცხოელებს, რომელთაც რუსეთის ტერიტორიაზე აქვთ სულ სხვა უფლებები, ვიდრე რუსეთის მოქალაქეთ. ჩვენ კატეგორიულად უნდა დავგმოთ საბჭოთა მთავრობის სუვერენიტეტის ასეთი უხეში დარღვევა. ჩვენ გვინდა ვვაჭროთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებით ან, როგორც ვაჭრები ვაჭრებთან. მაგრამ, ჩვენ არ გვინდა ვიყოთ უუფლებო ვაჭრების როლში და თვით ვაჭრობა მოითხოვს სრულ, ფაქტიურ და ფორმალურ აღიარების საბჭოთა მთავრობისა ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით.

**ევროპის აღდგენისთვის.**

**მოსკოვი. 2 მარტი,** „პრავდა“, აღნიშნავს რა ლოიდ ჯორჯის დეთმობის მიზანს, ამბობს: პუანკარემ გაიტანა თავისი და მიაღწია იმას, რომ „ევროპის აღდგენა“ მოხდეს ვერსალის ყაჩაღურ ხელშეკრულობის საფუძველზე. ბოლოს დროს საერთაშორისო ბურჟუაზიული პრესა, ნამეტნავად ინგლისური, დიდ იმედებს ამყარებდა გენუას კონფერენციაზე ევროპის აღდგენის საქმეში. აღდგენა, რომელიც იწყება ვერსალის ხელშეკრულობის დამტკიცებით და ევროპის განიარაღებაზე ყოველი ლაპარაკის უარყოფით, ცივი წყალივით დაესხმით თავზე ყველა წვრილ ბურჟუაზიულ უტოპისტებს, რომლებიც კვნესიან აუტანელ გადასახადების ტვირთის ქვეშ, იტანჯებიან სიძვირისა, უმუშევრობისა და ყველა იმ შედეგებისაგან, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მეურნეობის დანგრევისა და რუსეთის მსოფლიო ეკონომიიდან გამორიცხვასთან. წვრილი ბურჟუაზიული იმედები გენუაზე ქვნებიან ჯერ კიდევ ამ კონფერენციის მოწვევამდე ამავე დროს მდგომარეობა ევროპაში სულაც არაა ასეთი, რომ მას შეეძლოს საფრანგეთის ბონაპარტიზმის დიქტატურის ატანა დღეს და ხვალ თუ არა, ზეგ მაინც

# რ. კ. პ. საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს

[illegible]

გაზეთების რედაქტორები და უფრო პასუხისმგებელი თანამშრომლები უნდა განთავისუფლებულ იქნენ ყოველგვარ ადმინისტრატიულ მუშაობისგან როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ საქმეთა სფეროებში.

აღიარებს რა, რომ საგაზეთო მუშაობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარტიულ ფუნქციას და ფიქრობს რა, რომ ჟურნალისტი-კომუნისტები უნდა რაც შეიძლება მჭიდროდ დაუკავშირდნენ რაიონების და უჯრედების ცხოვრებასა და მუშაობას, ცენტრალური კომიტეტს, მით მაინც საჭიროდ მიაჩნია მიუთითოს პარტიულ ორგანიზაციებს, რომ კომუნისტ ჟურნალისტისთვის ლიტერატურული მუშაობა უნდა შეადგენდეს ძირითად პარტიულ მუშაობას.

[illegible] ადგილობრივ პრესის საშუალებით იწყო დღეს „ობივატელ-მეშჩანურმა“ სულისკვეთებამ. აუცილებლად საჭიროა გაბედული ბრძოლა აწარმოვოთ, რომ გაზეთების რედაქციებმა არ გადაუხვიონ რ. კ. პ. პოლიტიკურ გეზსა და ტაქტიკას.

ც. კ. იმედი აქვს, რომ პარტიული ორგანიზაციები ამ ცირკულიარის საფუძველზე უზრუნველჰყოფენ ადგილობრივ პრესაში პარტიულ გავლენას და უშველიან მას, შეასრულოს ის ამოცანები, რომელიც მას წინ დაუყენეს ახალმა პირობებმა.

რ. კ. პ. ც. კ. მდივანი მიხაილოვი.

რ. კ. პ ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მდივანი ი. იაკოვლევი.

...როპის კაპიტალი იძულებული იქნება რუსეთთან ნამდვილი საქმიანი შეთანხმება დასდოს. არავინ იცის, რომელი მთავრობა გამოიცვლება ამასობაში ევროპის ხელმძღვანელ სახელმწიფოებში, მაგრამ ასეთი გამოსავალი ობიექტიურად აუცილებელია და ასეთი აუცილებლობაში მდგომარეობს საბჭოთა სახელმწიფოს ძალა, რომელმაც გადიტანა რა ომი ანტანტას სახელმწიფოებთან, გაუძლებს იმ დიპლომატიურ ბლოკადასაც, რომელზედაც ხელმძღვანელობას უწევს პარიზი. ბოლოს და ბოლოს გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩება.

**10 აპრილი**

**მოსკოვი.** 11 მარტი. გარეშე საქმეთა კომისარმა მიიღო რადიო იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრისაგან, რომ ახალი თარიღი, რომელიც დამყარებულია კონვენციის გახსნისათვის არის—10 აპრილი.

ციის სახალხო კომისარი ამხ. ქავთარაძე.

— გამოცემულ დეკრეტების დადგენილებათა და ბრძანებების გადამსინჯავი კომისია შესდგეს შემდეგი პირთაგან: ამხ. ეშბა, თუმანოვი და გეგეჭკორი.

— ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომები დაინიშნოს კვირაში ერთხელ.

**✦ გაზ. „ტრიბუნის“ რედაქციისაგან.** ტექნიკურ მიზეზების გამო გაზ. „ტრიბუნის“ მორიგი ნომრები ვერ გამოვიდა, სარედაქციო კოლეგიას მიღებული აქვს ყოველგვარი ზომები და გაზეთი აუცილებლად გამოვა ამ დღეებში.

**✦ „ცრემლებით სიცილი“,** გამოვიდა ამხ. ს. თოდრიას პატარა ფელეტონების კრებული „ცრემლებით სიცილი“, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამოცემა...

# კაპიტალიზმის სამეფოებში

## დარდანელი და ბოსფორი

**კონსტანტინოპოლი.** 29 თებერვალი. „ჟურნალ-დე-ორიანი“ იუწყება, რომ ანგორის მთავრობამ გამოიმუშავა შემდეგ მოთხოვნილებათა პროექტი: 1) დარდ ნელის და ბოსფორის სრუტეები რჩებიან ოსმალეთის მფლობელობაში. 2) სრუტეები იქნება გამოუკლებლივ ყველა...

ყება, იქნება რუსეთში ძლიერ პოპულიარული.

## რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკება.

**ლონდონი.** 8 მარტი. რადიო. ლონდონის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ვეილფილდი, კრუპის ქარხნების დირექტორი, ენერგიულ ნაბიჯებს სდგამს...

# გაზაფხულის თესვის წინ

## ახალციხის მაზრაში.

ახალციხის მაზრაში შემოდგომის სათესი კამპანია დაიწყო გასული წლის ოქტომბრის დასაწყისში; მუშაობა სწარმოებდა შეუწყვეტლად და გრძელდება აქამდის.

მაზრის 950 გლეხებს დაურიგდათ სესხის სახით სხვა და სხვა სათესი მასალა (ხორბალი, ქერი, სიმინდი და ქართოფილი) 4,000 ფუთამდი. დააბრუნეს უკან მხოლოდ 799 ფუთი. სასესხებელი სათესი მასალის დანარჩენი ნაწილი დარჩა გადაუხდელი სტიქიური უბედურების გამო, რომელიც ეწვია მთელ ახალციხის მაზრას (სეტყვა, წყალ დიდობა და გვალვა). ამ ჟამად ახალციხეში თესვის კომისიამ მიიღო ბათომიდან ავსტრალიის ხორბალი 1030 ფუთი, ორ ვაგონს მიიღებენ ამ დღეებში. მიღებული სათესი მასალა განაწილდება გლეხებს შორის სესხის სახით ხორბალზე, ქერზე, სიმინდზე და სხვ. გადასაცვლელად.

ამ ჟამად სათესი მუშაობა მაზრაში კიდევ არ დაწყებულა თოვლის გამო. კლდის და აწყურის რაიონებში შიმშილობაა. ვალეის რაიონი განთავი...

დება აგრეთვე არტელებს, რომლებშიდაც შედიან მოსამსახურენი ... და სხვა საბჭოთა დაწესებულებების —ფოსტა-ტელეგრაფის, რევკომის და სხვ.

## გორის მაზრაში.

გორის მაზრაში სათესი კამპანია გასული წლის შემოდგომიდან არ შეწყვეტილა; მუშაობა ამ ჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. სათესი კომისიის მუშაობა მდგომარეობდა სათესი მასალების შეკრებაში, რომლებიც დარიგებული იყვნენ გასული წლის გაზაფხულზე—12 000 ფუთი. აქედან მცხოვრებლების მიერ დაბრუნებულია მხოლოდ 5,000—6,000 ფუთი. ის ეთის რაიონებს, რომლებიც შედიან სამხრეთ ოსეთში, კიდევ არ დაუბრუნებიათ სესხი; ეს რაიონები ძალიან დაზარალდენ გვალვისაგან და იმყოფებიან შიმშილის მდგომარეობაში.

გორის სათესი კომისიის მიერ დარიგებულია გლეხებზე 3500 ფუთამდი ხორბალი, რომელიც მიიღო მან სასურსათო კომისარიატისაგან. დარჩენილია დასარიგებლად საგაზაფხულო ქერის 2,000 ფუთი, რომელიც შეკრიბა მცხოვრებლებმა...

**✦ მუხრანის ხიდი.** შეუდგნ მუხრანის ხიდის სასწრაფო რემონტს, ხიდის ხის იატაკის აწევის გამო სიცვ...

მუშაობა და მაშასადამე წყლის ტურბინებისაც, რაც აცილებს წყალსადენს გაფუჭებას წყალდიდობის დროს. ამ მუშაობისთვის გადადებულია 2 მილიარდამდე მანეთი.

# საზეიმო სხდომა

**თბილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოსი, პროფკავშირების საბჭოს, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებსა, ადგილობრივ კომიტეტებსა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად**

12 მარტს, დღით, სახელმწიფო დრამის თეატრში შესდგა საზეიმო გაერთიანებული კრება თბილისის საბჭოს პლენუმისა პროფსაბჭოს პლენუმისა, ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიძღვნილი იყო თებერვლის რევოლიუციის 5 წლის თავისა და წითელი არმიის 4 წლისთავისადმი.

## ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენება.

პირველად მოისმინეს ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება თებერვ...

ჟუაზია,—რუსეთში ეს ასე არ ყოფილა. რუსეთის ბურჟუაზიამ ვერ შესძლო ძალა-უფლების აღება ხელში მე-5 წლის რევოლიუციის შემდეგ, პროლეტარიატიც არ იყო საკმაოდ მძლავრი და რევოლიუცია დამარცხდა. რუსეთის პროლეტარიატი აწარმოებს ბრძოლას ფეოდალიზმთან, ცარიზმთან, მაგრამ ამასთან ერთად ის მტკიცედ დგება საკუთარ კლასობრივ პოზიციებზე—სოციალისტურზე. რუსეთის ისტორიაში არ ყოფილა მცირე პერიოდიც კი, როცა ბურჟუაზია ყოფილიყოს მუშათა კლასის ხელმძღვანელი,—რასაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში...

რომ საკმარისი იყო უმნიშვნელო საბაბი, ქალების გამოსვლა ქუჩაში პურისათვის, რათა დაგროვილი რევოლიუციონური ენერგია ამოხეთქილიყო, და წამლექა ცარიზმი...

მოხდა თებერვლის რევოლიუცია. შემდეგ ამხ. ორახელაშვილი აღნიშნავს საფეხურებს, რომელნიც ყოფენ თებერვალს ოქტომბრიდან და რომელთაც მოამზადეს უკანასკნელი. ოქტომბერი—მუშათა, სოციალისტური რევოლიუციაა, რომელმაც ბურჟუაზია გადაისროლა ისტორიული ასპარეზიდან და ძალა-უფლება გადასცა პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას.

ამხ. ორახელაშვილის მოხსენება მოისმინეს დიდი ყურადღებით.

## ამხ. მიასნიკოვის მოხსენება.

შემდეგი მოხსენება ამხ. მიასნიკოვისა ეხებოდა წითელი არმიის ოთხი წლის თავს.

მისი მოხსენების წინ, ამხ. ლადო დუმბაძის მონაწილეობით, წითელი დროშას ყველა კავალერიები, რომელნიც იმყოფებოდენ კრებაზე, იკავებენ...

შემდეგ ამხ. ივანოვი აქვეყნებს თბილისის გარნიზონის ნაწილების სიას, რომელთა შეფობა იკისრეს საბჭოთა, პროფესიულ და პარტიულ ორგანიზაციებმა.

საბჭო ერთხმად ადასტურებს ამ გადაწყვეტილებას.

ნაწილების მხრივ საპასუხოდ გამოვიდა ამხ. შაპოშნიკოვი.

კრება იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

## ქიაზიმ-კარაბეკირ-ფაშის პასუხი საბჭოს რეზოლიუციაზე ამხ. ფრუნზეს მოხსენების გამო

სხდომის დახურვის წინ გამოქვეყნებულ იქნა აღმოსავლეთის ფრონტზე ოსმალეთის დიდი ეროვნულ კრების მთავრობის მთავარსარდლის, კიაზიმ-კარაბეკირ-ფაშის წერილი, რომელიც მან გამოგზავნა ოსმალეთის მდგომარეობის შესახებ ამხ. ფრუნზეს მოხსენების გამო თბილისის საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლიუციის საპასუხოდ.

ამ წერილში კიაზიმ-კარაბეკირ ფაშა სწერს:

...თა კავშირისა, განსაკუთრებით პოლონეთთან სამხედრო ხელშეკრულებისა. შეიდემანელების ფრაქციის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო პოლონეთთან სამხედრო კავშირისა. შვეციის გაზეთები აღნიშნავენ, სეიმი იმ შემთხვევაში, თუ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, შესაძლებელია დასდგეს იმ აუცილებლობის წინაშე, რომ განაცხადოს უარი მის რატიფიკაციაზე. პოლონეთის თავდაცვითი კავშირი აიძულებს ფინეთს, აწარმოოს შეტევითი ბრძოლა. სეიმის ბევრ დეპუტატებს ვერც კი წარმოუდგენიათ, თუ რას ნიშნავს რუსეთის წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლის წარმოება. ომი პოლონეთსა და ფინეთის შორის, იმ შემთხვევაში, თუ იგი დაიწ...

...ბის და წესრიგის ნამდვილი აღდგენისა, ე. ი. ის ამოცანა, რომელიც დასმულია გენუის კონფერენციის წინაშე.

## საბჭოთა რუსეთი და განაპირა სახელმწიფოები.

**მოსკოვი,** 12 მარტი. რადიო თემთა პალატაში შეკითხვაზე, აქვს თუ არა ინგლისის მთავრობას განზრახვა, საფრანგეთთან შეთანხმებით, გადისდგას ნაბიჯები პოლონეთის და სხვა განაპირა სახელმწიფოების დასაცავად საბჭოთა რუსეთისაგან, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ არ არის საბუთი ვიფიქროთ, ვითომ საბჭოთა რუსეთი ემუქრებოდეს ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას.

# ქრონიკა

**✦ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.** სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა მარტის 11-ს სხდომაზე დაადგინა:

— დაინიშნოს დროებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოვალეობის აღმასრულებლად იუსტი...

...ალექსეევის დენიკინის, იუდენიჩის, კოლჩაკის, ვრანგელის და სხვათა უფრო მომზადებულ და გამოცდილ...

...დე, იქ ... ოსმალეთი ცდილობდა და აწიც შეეცდება განამტკიცოს თავისი მეგობრობა საბჭოთა რუსეთსა და კავკასიის ხალხებთან...

# ჩვენი კომუნალური მეურნეობა

**(თბ. ქალ. საბჭოს აღმასკომის სხდომიდან)**

## სახლების მეურნეობა

თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სხდომაზე 9 მარტს, დაწვრილებით იქნა განხილული სახლების მეურნეობის მდგომარეობის და მისი მმართველობის მეთოდების საკითხი.

ამ ჟამად საბჭოთა რუსეთში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში ეჩნევა სახლების დემუნიციპალიზაციის პროცესი.

ყველა მსხვილ ქალაქებში აღმასკომები სისწორით აწესებენ, და საკ...

...მაოდ განსაზღვრული რიცხვით, თუ რა სახლები რჩებიან კომუნალურ მეურნეობის გამგებლობაში, როგორც გაერთიანებულნი, ხოლო დანარჩენები უბრუნდებიან სახლის პატრონებს. უკანასკნელთ ეკისრებათ გარკვეული ვალდებულებანი და პირობები: 1) დაწესებული ნიხრის დაცვა ბინებზე, 2 სახლების შეკეთება, 3 კომუნალურ მეურნეობის განყოფილებისათვის სარგებლობის სივრცის განსაზ...

ღვრულ პროცენტის მინიჭება და სხვა.

კომუნალურ მუშაკთა მთელ რიგ საოლქო, საგუბერნიო და სრ. რუსეთის ყრილობებზე სახლების მეურნეობის მდგომარეობის და მისი მომწესრიგებელ ზომების საკითხს მთავარი ადგილი ჰქონდა დათმობილი დღის წეს რიგში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკითხი, თუ რა ძალებით გამოცხოველდეს კვლად სახლების აღმშენებლობა, რომელიც სავსებით შეჩერდა უკანასკნელ 7—8 წლის განმავლობაში.

ხსენებულ საკითხების სფეროში განავითარა თავისი მოხსენება თბ. ქალ. აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის გამგემ ამხ. წივწივაძემ. მან წარუდგინა აღმასკომს საბინაო საკითხის შესახებ სავალდებულო დადგენილების პროექტი, რომელიც შეიცავს შემდეგი ძირითად დებულებებს:

გარდა სისწორით აღნიშნულ სახლებისა („მუშათა სახლები, საბჭოთა და ქალაქის დაწესებულებათა შენობები და სხ.) ყველა დანარჩენები უბრუნდებიან სახლის პატრონებს. კომუნალურ მეურნეობის საბინაო განყოფილებას სახლის პატრონები ვალდებული არიან დაუთმონ საცხოვრებელ მოედნის 10 პროც,—იმ სახლებში, სადაც ოთახების რიცხვი 10 და უფრო მეტია. თუ ასეთ სახლებში ამ ჟამად ოთახები ყველა დაკავებულია ნორმის მიხედვით, 10 პროც. დაეთმობა საბინაო განყოფილებას ოთახების განთავისუფლებისთანავე. თუ 10 დღის განმავლობაში საბინაო განყოფილება ვერ გამოიყენებს მინიჭებულ ოთახებს—სახლის პატრონს უფლება ეძლევა მოიხმაროს ისინი თავის შეხედულების მიხედვით.

სახლის კომიტეტები უქმდებიან. სახლის კომიტეტების თავმჯდომარენი ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში მოიწვიონ ამა თუ იმ სახლის მცხოვრებთა საზოგადო კრებები ანგარიშისათვის. სახლკომების ფუნქციები გადაეცემათ სახლის პატრონებს, მოიჯარადრეებს, მმართველებს. სახლის მესაკუთრეთ ენიჭებათ მფლობელობის და განკარგულების უფლება.

საბინაო ქირა შედის სახლის პატრონის განკარგულებაში და წესდება ასე: მთელი ქალაქი იყოფა 3 რაიონად, ყველა მცხოვრებნი 3 კატეგორიად.

1-ლი კატეგორია—სახელმწიფოს ხარჯზე მყოფნი სამხედრო მოსამსახურენი, რომელნიც სარგებლობდნენ სოციალური უზრუნველყოფით, და მუშა მოსამსახურენი, რომელნიც იმყოფებიან სამსახურში სახელმწიფოებრივ დაწესებულებებსა და წარმოებებში. ეს კატეგორია ბინებისათვის 1-ლ რაიონში იხდის 1,000 მ. ოთხ. კვთ. არშინზე, მე-2-ე რაიონში 600 მან. და მე 3-ში 200 მანეთს.

მე 2 კატეგორიაა—გონებრივ შრომის პირნი, მოწაფენი, თავისუფალ პრაქტიკის ექიმები (დამოუკიდებლად იმისა, იმყოფებიან თუ არა ისინი სახელმწიფო სამსახურში). ბინებისათვის 1-ლ რაიონში ეს კატეგორია იხდის 3,000 მ. ოთხ. კუთ. არშინზე, მე 2 რაიონში—1.800 მ. და მე 3-ში 600 მანეთს.

მე 3 კატეგორია—ყველა დანარჩენი მოქალაქენი, რომელნიც ყველა რაიონებში იხდიან ბინის ფულს სახლის პატრონებთან შეთანხმებით.

ყველა მოქალაქეთათვის მყარდება საცხოვრებელ სივრცის ნორმა—არა უმეტეს 25 ოთხ. კუთ. არშინისა სულზე. ექიმებს, პროფესორებს და სხ.—ეძლევათ კიდევ კაბინეტი, ზომით არა უმეტეს 20 ოთხ. კუთ. არშინისა; თავისუფალ პრაქტიკის ექიმებს კიდევ მასალები, რომლებისათვის უნდა იქნან გამოყენებულნი შეშაბანდიანი დერეფნები და ასეთები.

ბინის ძირითად ქირას ემატება სამ-სამი პროცენტი თითეულ შემდეგი მოწყობილებისათვის სააბანო, საპარადო შესავალი, პარკეტის იატაკი და სხვა.

სარდაფებში ბინის ქირა წესდება 50 პროცენტით ნაკლები.

სახლის პატრონები ვალდებულნი არიან შეუდგნენ მფლობელობას 2 კვირის განმავლობაში. თუ ამ ხნის განმავლობაში სახლის პატრონები არ დაეუფლებიან სახლებს, უკანასკნელნი გადაეცემიან იჯარით მცხოვრებთა კოლექტივებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს და სხვა ასეთ ორგანიზაციებს.

იმ შემთხვევაში, როცა სახლის პატრონი არ აწარმოებს სახლის შეკეთებას,—შეკეთებას მოახდენს კომუნალური მეურნეობის განყოფილება სახლის პატრონის ანგარიშზე.

ახალი სახლის აშენების მსურველებს აღმოეჩინებათ ყოველგვარი დახმარება: მიწის მიჩენით, საამშენებლო მასალით, 12 წლის განმავლობაში განთავისუფლებით ყოველგვარ რეგლამენტაციისაგან ნორმის, საბინაო ქირის და სხვა ასეთის აზრით.

ასეთია ძირითადი დებულებანი საბინაო საკითხის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა პროექტისა, რომელიც წარმოადგინა ამხ. წივწივაძემ. თავის მოხსენებაში ამხ. წივწივაძე არ მალავდა, რომ ეს პროექტი აყენებდა მუშებს რამოდენიმედ მძიმე მდგომარეობაში სახლის პატრონისათვის საჭირო იქნება თავის სახლში ჩაასახლოს ბურჟუები, რომლებიდან შეიძლება აიღოს ბინის ქირა რამდენიც უნდა. მაგრამ მუშები დაცულ იქნებიან. პირველი—მდგმურის გამოსახლება ბინიდან შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით, სახალხო მოსამართლის დადგენილებით; მეორე—საბინაო განყოფილების განკარგულებაში არის თავისი სახლები, მუშათა სახლები და 10 პროც. ფონდი საცხოვრებელ მოედნისა.

ამხ. წივწივაძის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ამხ. ამხ. გეგეჭკორმა, ობოლაძემ, ლადო დუმბაძემ და სხვებმა. გადაჭრილი, პრინციპიალური მოწინააღმდეგეთ ამხ. წივწივაძის პროექტისა გამოვიდა ამხ. ა. გეგეჭკორი.

ამხ. გეგეჭკორი აღნიშნავდა, რომ ახლა მოსკოვის საბინაო განყოფილებამ ხელი აიღო ოთახების და ბინების გაცემაზე. უარი უნდა განვაცხადოთ 10 პროცენტიან ფონდის დაწესებაზე საბინაო განყოფილების სასარგებლოდ, რადგან ეს 10—პროცენტიანი ფონდი სწორედ ის არის, რაც ჩვენ უკვე ამოვწურეთ გადასახლებით და შემჭიდროებით. ჩვენ გარკვევით უნდა ვთქვათ: საბინაო განყოფილებას ვაუქმებთ, ვადგენთ კომისიას ბინის ქირის მოსაწესრიგებლად, ნაციონალიზაციიდან თავისუფალ სახლებს უბრუნებთ სახლის პატრონებს, ხოლო გაეროვნებულებისათვის ვქმნით სახლების სამმართველოს. ჩვენს წინაშე დგას ორი ამოცანა: 1) შეუნარჩუნოთ მუშებს ის გაუმჯობესებული საბინაო მდგომარეობა, რომელიც მათ მოიპოვეს, და 2) შეძლებისადაგვარად მოვაწესრიგოთ ბინის ქირა.

— ჩვენ 4 წელიწადი ვიმტვრიეთ თავი რუსეთში ამ საკითხის გადაჭრისათვის, და მე ვერსად დავინახე ერთი განცხადებაც კი ბინის გაქირავებაზე. ხოლო ბაქოში ის უკვე გაჩნდა—„ქირავდება სინათლიანი, დიდი ოთახი და სხ."—და ეს არა ერთი და ორი. მცხოვრები თვით შეამჭიდროვებს თავს, რათა გააქირავოს ოთახი.

ამხ. თბოლაძეს წინადადება შემოაქვს შეტანილ იქნას მეტი სიცხადე და სიმარტივე საბინაო საკითხის შესახებ სავალდებულო დადგენილებაში. უნდა თავი დავანებოთ ყველა ამ დაყოფათ. რითა ვარ მე დამნაშავე, რომ ვცხოვრობ ალექსანდრეს ბაღთან? ან რა დაიშავეს მუშებმა, რომელნიც გადმოსახლდნენ ნაძალადევიდან პლეხანოვის პროსპექტზე.

ამხ. ლადო დუმბაძე ამბობს, რომ ამხ. გეგეჭკორის გეგმა ფრიად მარტივია,—ის ჩვენ გვანთავისუფლებს ყოველგვარ ზრუნვისა და შრომისაგან. მაგრამ ეხლა ჩვენ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, როცა ძალაუნებურად გვიხდება მოვაწესრიგოთ არა მარტო ბინის ქირა, არამედ თვით ბინებიც. ჩვენ არ გვაქვს არც მორალური, არც ფიზიკური შესაძლებლობა ხელი ავიღოთ ამ ამოცანაზე. რადგან არც ერთი სახლის პატრონი გარკვევით არ აძლევს ოთახს არც მუშას, არც წითელ-არმიელს, არც დაწესებულებას. მოსკოვზე მითითება არ არის დამარწმუნებელი: მოსკოვში უკვე მოასწრეს მჭიდროთ ჩასახლება, ბევრი ხანია მუდმივად მოეწყვენ. მაგრამ როცა მოსკოვი განიცდიდა ისეთივე მდგომარეობას, როგორსაც ეხლა ჩვენში აქვს ადგილი, ის ხელს არ იღებდა საბინაო საკითხის იძულებითი გადაჭრის მეთოდებისაგან. ჩვენთვის შეიძლება საჭირო იყოს ს. გეგეჭკორის პროექტის მიღება,—მაგრამ ჩვენ ამის ჩადენა არ შეგვიძლია.

კამათმა მოხსენების გამო მიიღო ფრიად გაცხოველებული ხასიათი. ამხ. თ. ღლონტმა სხვათა შორის წამოაყენა პროექტი საბინაო გადასახადისა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ხარჯების გაღება ბინებით მუშების დასაკმაყოფილებლად.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ გადაწყვიტეს გადაეცეს სავალდებულო დადგენილებათა პროექტი კომისიას განსახილველად და დასკვნისათვის.

# პროვინციაში

**ს. ზედა-სიმონეთი (ქუთაისის მაზრა).** ზემოხსენებული სოფელი ყოველთვის განთქმული იყო მოსავლით. წელს კი ბედმა უმტყუნა და ისეთივე ბედი ეწვია, როგორიც რაჭალეჩხუმს, ყოველ მოსახლის კარზე მოსალოდნელი შიმშილის წინააღმდეგ ზომების მისაღებად ადგილობრივმა ხალხმა მოიყარა თავი რევკომის ეზოში, რომ ესაშველებია და საქართველოს რომელიმე კუთხიდან, უფრო კი გურია სამეგრელოდან სიმინდის შემოტანის ორგანიზაცია მოეწყო. აირჩიეს კომისია ექვსი კაცისაგან შემდგარი, სამი ადგილობრივ დარჩებოდა, სამი კი გურია-სამეგრელოში ივლიდა სიმინდის შესაძენათ, სასურსათო კომისიის დანარჩენი წევრები წასულებს მიაწოდებდენ ცნობებს თუ ვის რამდენი ღვინო აქვს გადასაცვლელი, ვის საქონელი ყავს და სხვა.

ამ კრებაზე თითქმის მესამედი გამოვიდა და განაცხადა, რომ ჩვენ სრულიად არაფერი არ გაგვაჩნია გადასაცვლელად, არც საქონელი, არც ღვინო და თუ მთავრობა და მეზობლები რამეს დაგვეხმარებით, ხომ კარგი, წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილით ამოწყვეტა მოგველისო. მეზობლები დაპირდენ შეძლებისდაგვარად დახმარებას, მაგრამ თვით რომ არაფერი გააჩნიათ რით უნდა დაეხმარონ.

ზემოხსენებული განცხადება სრულიად შეესაბამება სიმართლეს. მე ზოგიერთ ვიცი, რომ სრულიად საკვები და არც საქონელი არ გააჩნია და შიმშილით სიკვდილი მოელით. როგორც გადმომცეს ამ კრებაზე ადგილობრივი მოქალაქე გვარათ ციბაძე, უკვე უმსხვერპლია შიმშილს. ზოგმა მითხრა: სამი დღეა ჩემსას კეცი არ გამთბარაო, ასეთი სურათია ამ სოფელში.

იმედია მთავრობა და საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტი ყურადღებას მიაქცევს ს. ზედა-სიმონეთს, დაეხმარება ნივთიერათ, თორემ ეხლა თუ გლეხმა თითო ფუთ სიმინდისათვის გურია სამაგრელოში იარა, ყანა დაუხნავი დარჩება და მომავლისათვის უფრო მეტი გასაჭირი იქნება.

**დ. ღ.**

---

**დ. ჩხარი.**

არ იქნა და სწავლა განათლების საქმე ვერ დადგა თავის სიმაღლეზე. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს სათანადო ყურადღება მაზრის განათლების გამგემ.

ვინაიდან მოსალოდნელია ყვავილის გავრცელება, ამიტომ საჭიროა მიღებულ იქნას სათანადო ზომები ვისგანაც ჯერ არს, რომ აუცრან მცხოვრებლებს.

---

ა. წ. 25 თებერვალს, სოფ. საზანოს რაზმელებს და ჩხარის მილიციას მოუხდა სროლა ორ ყაჩაღთან სოფ. ალისუბანში, ჩხართან ახლოს. რამდენიმე საათის სროლის შემდეგ მოკლულ იქნა ორივე, რომლებიც მეორე დღეს ჩამოიტანეს დ. ჩხარში.

მილიციის და რაზმელების მხრით არც ერთი არ დაშავებულა.

**აქაური.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება № 158.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა—კოლექტიური ხელშეკრულობის შესახებ.**

სამუშაოს მიმცემთა და მშრომელთა ურთიერთობის მოწესრიგებისათვის, ერთის მხრით—სასოფლო მეურნეობის აღდგენის უზრუნველყოფისათვის და მეორეს მხრით მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შრომის პირობები სახელმწიფო საკოოპერაციო, საკონცესიო, საიჯარო და კერძო დაწესებულებასა, საწარმოო დაწესებულებასა და მეურნეობაში, სადაც მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი აღემატება 5 კაცს და სადაც ამასთანავე მექანიკური მამოძრავებელია და 10 კაცს, სადაც იგი არ არის, განისაზღვრება კოლექტიური ხელშეკრულობით, რომელიც აუცილებლად უნდა დაიდოს მხარეთა შორის.

**შენიშვნა:** ამა მუხლში აღნიშნული დაწესებულებისა, საწარმოო დაწესებულებისა და მეურნეობის მეპატრონეს (მოიჯარადრეს) და მუშებს წინადადება ეძლევათ ორი კვირის განმავლობაში იხმარონ ყოველი ღონისძიება კოლექტიური ხელშეკრულობის დასადებად ქვემოდ განსაზღვრული წესისამებრ.

2. კოლექტიური ხელშეკრულობის პროექტს ერთი მხარე წარუდგენს მეორეს. თვითეული მხარე ვალდებულია სამი დღის განმავლობაში პროექტის ასლის მიღების დღიდან გასცეს პასუხი მეორე მხარეს თანახმაა თუ არა იგი მიიღოს ასეთი ხელშეკრულობა, ან აცნობოს თავისი სურვილი მოლაპარაკების გამართვისათვის.

3. უკეთუ ერთი მხარე უარყოფით პასუხს გასცემს მეორეს, ან მოლაპარაკების დროს შეთანხმება არ მოხდება, ორივე მხარე ვალდებულია საბოლოო შეთანხმების მისაღწევად მიჰმართოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას, ხოლო ადგილობრივ — საკავშირთაშორისო გაერთიანებულ ორგანოების შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას.

4. მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულობა სარეგისტრაციოდ და დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს სამ ცალად შრომის სახალხო კომისარიატს ან მის ადგილობრივ ორგანოს.

5. კერძო, საიჯარო და საკოოპერაციო წარმოებისათვის, რომელსაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე ცენტრალურ მმართველობით გაერთიანებულ საწარმოო დაწესებულებათათვის როგორიც არის, მაგ. კოოპერატივი და სხვა მსგავსი წარმოება, რომლის ტერიტორია (მოქმედების რაიონი) არ აღემატება შრომის სამაზრო განყოფილების მოქმედების ტერიტორიას,—კოლექტიურ ხელშეკრულობას დასდებს კავშირების ცენტრალური გამგეობა.

6. ყველა სხვა საწარმოო დაწესებულებისათვის, რომლის მოქმედებაც ვრცელდება მხოლოდ მაზრის რაიონზე, კოლექტიურ ხელშეკრულობას დასდებს სამაზრო პროფესიონალური ბიურო, ხოლო დაამტკიცებს და რეგისტრაციაში გაატარებს შრომის სამაზრო განყოფილება.

7. ასლი კავშირთა ცენტრალური გამგეობის მიერ დადებული ხელშეკრულობისა განხორციელებისათვის უნდა გაიგზავნოს შრომის განყოფილებაში, რომლის რაიონშიაც შედის საწარმოო დაწესებულება, რაზედაც ვრცელდება დადებული კოლექტიური ხელშეკრულობის მოქმედება.

8. კოლექტიურ ხელშეკრულობას, რომელიც წარედგინება დასამტკიცებლად შრომის სახალხო კომისარიატს ან მის ადგილობრივ ორგანოს, დართული უნდა ჰქონდეს დასკვნა ადგილობრივი პროფესიონალური ბიუროსი ან საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოსი.

9. შრომის ადგილობრივი განყოფილების გადაწყვეტილება კოლექტიურ ხელშეკრულობის დამტკიცების შესახებ განსაჩივრებულ იქნეს მხარეთა მიერ სათანადო უმაღლეს ინსტანციაში ორი კვირის განმავლობაში.

10. ყველა კოლექტიურ ხელშეკრულობას დაამტკიცებს შრომის სახალხო კომისარიატი ან მისი ადგილობრივი ორგანო.

კოლექტიურ ხელშეკრულობის შეცვლა ან დამატება მოხდება იმავე წესით, რა წესითაც სწარმოებს მისი დამტკიცება.

11. კოლექტიურ ხელშეკრულობაში აღნიშნული უნდა იქნეს:

ა) სახელწოდება და მისამართი პროფესიონალური კავშირებისა, მოსამსახურეთა და სამუშაოს მიმცემთა, რომელთაც ხელშეკრულობა დასდეს;

ბ) ხელშეკრულობის მოქმედების დაწყების ვადა;

გ) ორგანოები, რომელთაც დაკისრებული აქვთ ხელშეკრულობის განხორციელება;

დ) წესი მუშების მიღებისა და დათხოვნისა;

ე) სამუშაო დროის განაწილება: ხანგრძლივობა სამუშაო დღისა, სადილისათვის მუშაობის შეწყვეტის დრო, უქმე დღეები დასასვენებლად, ზედმეტი მუშაობისა და შვებულების წესი და სხვა წესები შინაგანი განრიგებისათვის.

ვ) შრომის სასყიდელი: საფუძველი სასყიდლის განსაზღვრისათვის იმისდამიხედვით, თუ რამდენად აქვს მომუშავეს ხელობა შესწავლილი, რა ხასიათისაა სამუშაო, რამდენად რთულია იგი და სახიფათო, აგრეთვე წესი განაკვეთის განსაზღვრისა და შეცვლისა: მუშების დანაწილება პროფესიებად, ხოლო ამ უკანასკნელისა ჯგუფებად და კატეგორიებად; რაოდენობა განაკვეთისა.

ზ) შესასრულებელი სამუშაოს ნორმის დაწესება, განსაზღვრული რაოდენობისა და ხარისხის სამუშაოს შესასრულებლად გარანტიის ფარგლების გამორკვევის წესი და განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო შტატების დაწესება.

თ) წესი ბინებისა, სასადილოებისა ტანსაცმელისა და სხვ. სარგებლობისა.

ი) შეგირდობის გამოქვეყნების პირობები, წლოვანება სწავლის დრო, რიცხვი, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, სასყიდელი.

კ) ხელშეკრულობის მოქმედების უკიდურესი ვადა, პირობები და წესი ხელშეკრულობის შეცვლისა და მისი მოქმედების შეწყვეტისა;

ლ) შრომის სასყიდლის პირობები საწარმოო დაწესებულების ლიკვიდაციისა, საწარმოო დაწესებულების მთელად ან მისი ნაწილის დროებით შეჩერებისა, საწარმოო დაწესებულების შემცირების დროს.

**შენიშვნა:** თვითეულ მხარეს უფლება ეძლევა, თავიანთი შეხედულებისამებრ, შეიტანოს კოლექტიურ ხელშეკრულობაში შრომის პირობების მოწესრიგებისათვის სხვა (ზემოაღნიშნულის გარდა) წესიც.

12. მეთვალყურეობა და კონტროლი კოლექტიურ ხელშეკრულობათა თავის დროზე დადებისა და შესრულებისათვის დაევალება შრომის სახალხო კომისარიატსა და მის ადგილობრივ ორგანოებს.

13. შრომის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამა დადგენილების შეუსრულებლობაში დამნაშავე მხარე პასუხისგებაში მისცეს სახალხო სასამართლოს წინაშე.

14. წარმოების მეპატრონე (მოიჯარადრე), დამნაშავე ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შეუსრულებლობაში, სახალხო სასამართლოს განაჩენით დაჯარიმებულ უნდა იქნეს სამას მანეთამდე (ოქროთი) (ქართული ბონების ანგარიშით) ან დაპატიმრებული იძულებითი მუშაობით ნახევარ წლით ექვს თვემდე.

15. შრომის სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოსთან ერთად უფლება ეძლევა ამა დადგენილების განსავითარებლად და დასამტკიცებლად გამოსცეს ხოლმე სათანადო ინსტრუქცია და ცირკულიარი.

16. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. მარტის 2.

ტფილისი-სასახლე.

---

**ხარედაქციო კოლეგია.**

---


# საყურადღებოთ

ყველა პარტიულ ორგანიზაციებისა, საბჭოთა, საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა ცხადდება, რომ პოლიგრაფიული განყოფილება სწყვეტს შესრულებულ შეკვეთების გაცემას ხარჯების სრულ გასწორებამდის.

ყველა მიღებული შეკვეთები, აგრეთვე ახლად მისაღები, არ იქნებიან შესრულებულნი შეკვეთების ნახევარ ღირებულების შემოტანამდის.

ყველა ზემო აღნიშნულ ორგანიზაციათა და დაწესებულებებს წინადადება ეძლევათ, 15 დღის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადებისა, შემოიტანონ პოლიგრაფიულ განყოფილებაში მათგან კუთვნილი თანხები.

**პოლიგრაფიულ განყოფილების კოლეგია.**

(5—4)

---

# სატრანსპორტო-საექსპედიციო-საკომისიო კონტორა ცენტროტრამოტისა ს. ს. მ. უ. ს.

იღებს რკინის გზებით, ზღვითა და გზატკეცილებით საგზავნად ბარგსა და ტვირთს, როგორც დაწესებულებათაგან, აგრეთვე ფირმებისა და კერძო პირთაგან.

ღებულობს რკინის გზიდგან ბარგსა და ტვირთს მათი პატრონების დავალებით. იღებს თავის თავზე ტვირთთა გადაზიდვას სადგურებიდგან პატრონების ბინაზე და პირიქით და ასრულებს სხვა და სხვა საკომისიო დავალებებს, დაკავშირებულს ტრანსპორტთან.

3—2

---

# განცხადება
## ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის

მიერ დაწესებული კომისია საბიუჯეტო კომისიის, გადასახადების ბიუროსა და მისი სარაიონო აგენტების მოქმედებათა გამოსაძიებლად აუწყებს ყველა დაინტერესებულ კერძო პირს, მოვაჭრეებს, დაწესებულებებს, საწარმოვო დაწესებულებებს, რომელთაც აქვთ რაიმე ცნობები, საჩივრები და პრეტენზიები აღნიშნულ დაწესებულებათა უკანონო მოქმედებების და ბოროტ-მოქმედებების შესახებ,—რათა მათ ამგვარები პირადად, წერილობითი სახით, შემოიტანონ ზემორე დასახელებულ კომისიაში, რომელიც მოთავსებულია მე-16 № რ ოთახში ქ. ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში (ყოფილი ქალაქის საბჭო).

(4—4)

---

# ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ გზათა მმართველობისაგან
# განცხადება

20 მარტს, ამა 1922 წლისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მმართველობაში (ტფილისი, ვაგზლის ქ. № 1) დანიშნულია კონკურენცია **სამუშაოების საიჯარადრო წესით გაცემაზე**—ისეთი სამუშაოებისა, როგორიცაა:

## დატვირთვა, გადმოტვირთვა და გადატვირთვა

ყოველგვარი ტვირთისა, ბარგისა და ბარგის მზიდავთაგან მგზავრებისათვის სამსახური და ბარგების დაცვა, ვადით 31 დეკემბრამდე, ამა 1922 წლისა, აზერბეიჯანის რკინის გზის სადგურებით მხოლოდ სალოლლიდან პეტროვსკამდე. ისინი, ვინც მოისურვებს: მიიღოს თავის თავზე აღნიშნული სამუშაოების წარმოება, წარმოადგენენ წერილობით განცხადებებს, სალერბო ხარჯის გარდახდით, დაბეჭდილ კონვერტებში და ზედ წარწერით „ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ გზათა მმართველობაში ტვირთის გადაზიდვის მუშაობათა წარმოებაზე კონკურენციისათვის". განცხადების მიცემის უკანასკნელი ვადაა 20 მარტი, 1922 წელი, დღის 12 საათი.

განცხადებებში განცხადების შემომტანის სახელისა, მამის სახელისა და გვარის გარდა, უნდა იქნას აგრეთვე ნაჩვენები თავის თავზე მიღებულ სამუშაოთა დაწვრილებითი პირობები და თითო ათასეული ფუთი ტვირთის გადატვირთვის ფასი, ყველა ოპერაციებით.

აქ ნაჩვენებ სამუშაოების წარმოებაზედ ხელშეკრულობის დადების დროს მათი სწორად შესრულებისა და ტვირთთა დაცვის უზრუნველ-საყოფელად, იმ პირთა მხრით, რომლებიც დასდებენ ხელშეკრულობას, უნდა შემოტანილ იქნას საწინდრად ხუთასი მილიონი მანეთის თანხა (500.000.000 მანეთი). და ამასთანავე განცხადებებზე უნდა დართულ იქნას წინაწარი საწინდარის შეტანის ბარათი ზემორე ნაჩვენები ძირითადი საწინდარის 20 პროც. მდე.

საწინდარნი იმ პირთა, რომლებსაც არ მიეცემათ სამუშაოები, უკანვე დაუბრუნდებათ.

დაწვრილებითი პირობები გზათა მმართველობის საკომერციო ნაწილში შეუძლიათ მიიღონ ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა.

(1—0)


---

**სახალხო მოსამართლე** — ქ თბილისის 1 ლ უბნისა ამით აცხადებს, რომ 1922 წ., მარტის 3 ს მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის ემილ ფერდინანდის ძე ჟანის ანდერძის წერილი, შედგენილი ქ. ქუთაისის ნოტარ. დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილის მიერ 1913 წ., 27 დეკემბრის დღეს, შეტანილი მის ნოტარ. აბდუშელიშვილის 1913 წ. აქტის წიგნის მესამე ნაწილში, რომელიც ეხება უძრავ ქონებას, გვერდი 2 № 100.

[illegible]